

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

საბჭოს სხდომა #24

2018 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი, რიგით ოცდამეოთხე შეხვედრა. სხდომას ესწრებოდა 12 დელეგატი. სხდომას ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარე ქ.-ნი ლელა კეთილაძე.

დღის წესრიგი:

1. შეხვედრის გახსნა-მისასალმებელი სიტყვა და საბჭოს დელეგატთა გაცნობა მოწვეული სტუმრებისათვის;
2. მოწვეული სტუმრების მიერ თავის წარდგენა დელეგატთა წინაშე და შეხვედრის მიზნებზე საუბარი.
3. მსჯელობა საორგანიზაციო და შემდგომი თანამშრომლობის გარგმელების საკითხებზე.
4. მსჯელობა საბჭოს რამდენიმე წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და კენჭისყრა.
5. შეხვედრის შეჯამება.

2018 წლის 8 ოქტომბერს საბჭოს სხდომაზე დელეგატებმა იმსჯელეს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის სამომავლო გეგმებსა და სამოქალაქო აქტივობების შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: თემურ ყანჩაველი-„ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ ფინანსური მენეჯერი; მარიამ ჯიბუტი-„ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ პროექტების მენეჯერი; ნათია ლურსმანაშვილი- არასამთავრობო ორგანიზაცია „გონიერი“-ს დამფუძნებელი.

აღნიშნულ შეხვედრაზე სტუმრებსა და დელეგატთა შორის მოხდა გამოცდილების გაზიარება, ინფორმაციული ხასიათის დეტალების გაცნობა და საუბარი სამომავლო თანამშრომლობის გარგმელების დეტალებზე.

8 ოქტომბერს დელეგატებმა ასევე იმსჯელეს საბჭოს შიდა წესდებით დელეგატისათვის გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა და ვალდებულებების შესახებ. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე საბჭოს დამსწრე დელეგატებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და კენჭი უყარეს საბჭოს რამდენიმე წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, რომლის საფუძველზეც შემუშავდება საერთო დოკუმენტი და ყველა წევრს ინდივიდუალურად ეცნობება გადაწყვეტილების შესახებ.

სხდომის დასასრულს მოხდა შეხვედრის შეჯამება, ხოლო შემდგომი საერთო

შეხვედრა „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ ორგანიზებით ჩაინიშნა
22.10.2018 საღამოს 19:00 სთ-ზე დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში.

საბჭოს მდივანი

ნუკრი რამიშვილი

რუსთავი, საქართველო 08.10.2018 წ.